ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს
ბატონ სალიხ შაინიძეს

ა(ა)იპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
ალტერნატიული პროფესიული კავშირის,
სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო სალიხ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებს თვალს ბოლო პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ მიმდინარე მოვლენებს და სწავლობს მაუწყებლის თანამშრომლების შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტებს როგორც საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე ჟურნალისტების მომართვის საფუძველზე.

2020 წლის 22 მაისს, აპარატისთვის ცნობილი გახდა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისა და ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების სახელით, ბათუმის საქალაქო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის შესახებ.[1] სარჩელით მოთხოვნილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის №02-03/10 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ ცალკეული დებულებების გაუქმება.

საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“ შესაძლოა, არაპროპორციულად ზღუდავდეს მაუწყებლის თანამშრომელთა გამოხატვის თავისუფლებას. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, განსახილველ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა საშუალებას აძლევს სახალხო დამცველს, სასამართლოს მიაწოდოს ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რომელიც ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/305uLdy> [ბოლოს ნანახია: 04.06.2020].

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის პროცესში. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზანს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროსა და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტის განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რაც სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

1. ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა 2020 წლის 8 აპრილის №02-03/10 ბრძანებით დაამტკიცა „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“.

აღნიშნული ქცევის წესებით დადგენილი ცალკეული დებულებებით, მაუწყებელში დასაქმებულ პირებს შეეზღუდათ პირადი საიტების, ბლოგებისა და სოციალური ქსელების თავისუფლად მართვის შესაძლებლობა. მათ შორის, თანამშრომლებს დაეკისრათ: მათ მიერ შექმნილი და გაზიარებული კონტენტის (რომელიც არ ეკუთვნის მაუწყებელს), აგრეთვე მათ მიერ გაშუქებული ამბების შესახებ დაფიქსირებული პასუხების მაუწყებლის ღირებულებებსა და პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველოფა (წესი 2 და წესი 4); სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინფორმირება ინტერნეტში/სოციალურ ქსელში ორგანიზაციის გაკრიტიკების, ასევე, შეურაცხმყოფელი, შეუწყნარებელი და უხამსი ტერმინებით მოხსენიების შესახებ (წესი 5); შეცდომით დაწერილი ტექსტის მაქსიმალურად ოპერატიულად გასწორება და ცვლილების მიზეზების იდენტიფიცირება, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა აღნიშნული ინფორმაცია მაუწყებლის საქმიანობას ან მასში დასაქმებულ პირებს (წესი 7); ანგარიშებზე აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებად იდენტიფიცირება (წესი 8); თავის შეკავება პოლიტიკური პრეფერენციების საჯაროდ გამოხატვისგან და ყველა დადებითი ან უარყოფითი განცხადებისგან, რომელსაც შეუძლია მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება; ისეთი მასალის გამოქვეყნებაზე უარის თქმა, სადაც გამოხატული იქნება დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, მათ შორის, რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის/ჯგუფების წევრ(ებ)ის მიმართ, რათა ყველა ამგვარი ჯგუფი გრძნობდეს, რომ მის მიმართ მაუწყებელი არის მიუკერძოებელი (წესი 9). ამასთან, მაუწყებლის თანამშრომლებს ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში აქტივობისას, აეკრძალათ მაუწყებლის/მისი საქმიანობის უსაფრთხოებასთან, იმიჯთან, კორპორატიულ პოლიტიკასთან, საწარმოო და სამაუწყებლო პროცესთან, ასევე სამუშაო პროცედურებთან დაკავშირებული მასალის/ინფორმაციის გავრცელება (წესი 12).

აღსანიშნავია, რომ „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ თანახმად, მასში ასახული მოწესრიგება ვრცელდება მაუწყებლის თანამშრომლებზე, მიუხედავად მათი თანამდებობისა (პუნქტი II) და წარმოადგენს მაუწყებლის შინაგანაწესის და შესაბამისად, თითოეული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (პუნქტი IV). მაუწყებლის თანამშრომელთა მხრიდან

დასახელებული წესების დარღვევა, მათ მიმართ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქციის[2] გამოყენების საფუძველს ქმნის (პუნქტი IV).

2020 წლის 20 მაისს ა(ა)იპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, მალხაზ რეხვიაშვილმა და მაუწყებლის თანამშრომლებმა: სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის №02-03/10 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ ზემოთ მითითებული ნაწილების ბათილად ცნობა. მოსარჩელეების განმარტებით, სადავო მოწესრიგება უხეშად არღვევს აჭარის მაუწყებლის თანამშრომლების სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და აქედან გამომდინარე, შრომის კოდექსის 2.6 მუხლს, რომელიც შრომით ურთიერთობებში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებას ადგენს.

2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება და მიზანი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით.

ამავე კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, შემოწმების შედეგების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკავშირდება სახელმწიფო მიხედულების ფარგლებს ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტების იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

3. სამართლებრივი დასაბუთება

---

[2] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 20 ივლისის №02-03/10 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, დისციპლინური სანქციებია: გაფრთხილება, საყვედური, დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან, სამსახურიდან დათხოვნა და კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაშვების შეზღუდვა.

3.1. გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[4]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[5] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[6] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[7]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება თუ მიღება, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების და კულტურული და არტისტული გამოხატვის გზით.[8] ამასთან, გამოხატვის დაცულ ფორმებს წარმოადგენს ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიები, როგორებიცაა, მაგალითად, ქმედებები, სურათები, გამოსახულებები და ხელოვნების ობიექტები.[9]

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[10] ასეთ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები (რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა), წიგნები, პოსტერები და ბანერები, აგრეთვე ელექტრონული და ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.[11] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების

---

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26.

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

[6] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

[7] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

[8] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3cxa2Sr> [ბოლოს ნანახია: 04.06.2020].

[9] *იქვე.* იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2XOec35> [ბოლოს ნანახია: 04.06.2020].

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.56.

[11] *იქვე.* იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.[12]

გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.[13] ჟურნალისტებთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ მათი თავისუფლება მოიცავს მოვლენების გარკვეული დონით გაზვიადებულად ან თუნდაც, პროვოკაციულად აღწერას.[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუღებელი იქნებოდა, ჟურნალისტებს ჩამორთმეოდათ კრიტიკული შეფასებითი მსჯელობების გამოხატვის შესაძლებლობა, როდესაც მათ მართებულობას ვერ ადასტურებენ, რაც გამომდინარეობს მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ბუნებიდან, საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება.[15]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება მოიაზრებს პირის ნეგატიურ შესაძლებლობას, არ ილაპარაკოს და არ გამოხატოს მოსაზრებები.[16]

აღნიშნული უფლების სათანადო უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია სხვა უფლებების სრულყოფილ რეალიზაციასთან.[17] ამ კონტექსტში, საგულისხმოა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება სამუშაო ადგილზე,[18] ხოლო მასში გაუმართლებელი ჩარევა, შესაძლოა, შრომითი უფლებების დარღვევის საფუძველი გახდეს.

განსახილველ შემთხვევაში, „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ საფუძველზე, მაუწყებელში დასაქმებულ პირებს ეზღუდებათ ინტერნეტში თავისუფალი აქტივობა, მათ შორის, სხვადასხვა

---

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dalban v. Romania*, პარ. 49.

[15] *იქვე.*

[16] Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 18; იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 10; იხ. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები: დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.10.

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.6.

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 52.

მასალის, ინფორმაციისა თუ მოსაზრებების დაფიქსირება და დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის გათვალისწინებულია დისციპლინური სანქცია (გაფრთხილება, საყვედური, დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან, სამსახურიდან დათხოვნა და კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაშვების შეზღუდვა). შესაბამისად, აღნიშნული წესები იჭრება მათ გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და წარმოშობს მსგავსი ჩარევის მართლზომიერების შეფასების აუცილებლობას.

3.2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტი

გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[19] უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა[20] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის[21] თანახმად.

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია აგრეთვე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში.[22]

სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემურია, თუ რამდენად აუცილებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის №02-03/10 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ საფუძველზე, გამოხატვის

---

[19] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

[20] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

[21] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

[22] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა. ამდენად, წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს უფლებაში ჩარევის კანონიერების სამ-საფეხურიანი ტესტის მესამე სტანდარტს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „აუცილებლობის“ ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობასთან. ამგვარი საჭიროების არსებობის შეფასებისას, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული მიხედულების ფარგლებით, რაც არ არის შეუზღუდავი და მის საფუძველზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი ტესტით ფასდება.[23] გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო მიხედულების ფარგლები სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადავო გამოხატვის ტიპი. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონვენცია შეზღუდვების დაწესების მეტად მცირე სივრცეს ტოვებს იმგვარ გამოხატვაზე, რომელიც პოლიტიკური შინაარსისაა ან დებატებზე, რომელიც საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს შეეხება.[24]

შეზღუდვის „აუცილებლობის“ დასადასტურებლად, უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენს უფლების მზღუდავი ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას და რამდენად აკმაყოფილებს მისი გამოყენების დასაბუთება რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს.[25]

პროპორციულობის, იგივე თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უფლებაშემზღუდველი ნორმების დადგენისას, აუცილებელია, დაცული იყოს გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის.[26] ამის შეფასებისთვის, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ფუნდამენტური უფლების შეზღუდვისთვის, გამოყენებულია თუ არა ისეთი საშუალება, რომელიც ყველაზე ნაკლებად იწვევს უფლებაში ჩარევას.[27]

ამავდროულად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, თუ რა გავლენა აქვს გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს ინდივიდის უფლებაზე. უფლება „მსუსხავ ეფექტს“ განიცდის, თუ პირი მოსალოდნელი სანქციის შიშით, იძულებულია, თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით, ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლებაზე შესაძლებელია, გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც მსგავსი წესის დადგენის მიზანს წარმოადგენდა.[28] სასამართლომ აგრეთვე განმარტა,

---

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary* პარ. 159.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.პ.7.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Mouvement Raëlien Suisse v. switzerland*, პარ. 75.

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება, II.პ.8.

რომ აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს არააუცილებელი თვითშეზღუდვა, რაც უფლების არათანაბარზომიერი შეზღუდვის ტოლფასია.

მნიშვნელოვანია, საქმის განმხილველმა სასამართლომ სწორედ ზემოაღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით შეაფასოს, რამდენად პროპორციულად ზღუდავს მაუწყებლის თანამშრომელთა გამოხატვის თავისუფლებას თითოეული გასაჩივრებული წესი. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს მაუწყებლის თანამშრომლების/თანამშრომელთა ნაწილის უფლებათა უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებები, რომლების გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა მაუწყებლის რეპუტაციის დაცვა, აგრეთვე, ხომ არ არის წესები იმდენად ფართო ან/და ბუნდოვანი, რომ მას „მსუსხავი ეფექტი" აქვს გამოხატვის თავისუფლების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც არ ექცევა სადავო ნორმების რეგულირების სფეროსა და მიზანში. მსგავსი შეფასების გაკეთებისთვის, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს განსახილველ სარჩელში თითოეულ სადავო წესთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტაცია.

მათ შორის, სათანადოდ უნდა დასაბუთდეს შემდეგი გარემოებები: რას წარმოადგენს მაუწყებლის „ღირებულებები და პრინციპები" და რამდენად არის შესაძლებელი მათთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს ორგანიზაციაში დასაქმებული პირების მიერ ინტერნეტში გავრცელებული ნებისმიერი სახის პირადი ხასიათის მასალა ან/და რამდენად შეიძლება მასთან წინააღმდეგობაში მყოფი პირადი ხასიათის მასალა ნებისმიერ შემთხვევაში იწვევდეს მაუწყებლის რეპუტაციის შელახვას; რამდენად შეიძლება ინტერნეტში გავრცელებული შეცდომით/არაზუსტად/ხარვეზით ფორმულირებული პირადი ხასიათის ტექსტი (მაგალითად, ადგილსამყოფელის, დაბადების თარიღის ან სხვა გარემოების შესახებ) გავლენას ახდენდეს მაუწყებლის რეპუტაციაზე; აგრეთვე, რამდენად შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში, მაუწყებლისთვის საზიანო იყოს მისი თანამშრომლების მიერ პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფის წევრების მიმართ პოზიციის დაფიქსირება (მაგალითად, დადებითი პოზიციის დაფიქსირება კონკრეტული ჯგუფის წევრების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვისთვის ან პირთა სხვაგვარი დახმარების მიზნით გაწეული საქმიანობისთვის ან უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირება მათ მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების თაობაზე).

საქართველოს სახალხო დამცველი მხედველობაში იღებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" განსაკუთრებულ სტატუსს. კერძოდ, იმ გარემოებას, რომ აჭარის ტელევიზია წარმოადგენს საჯარო დაფინანსებით მოქმედ მაუწყებელს, რომლის შექმნის მიზანსაც გავლენებისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი და მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება წარმოადგენს, რაც წარმოშობს მაუწყებლის კარგი რეპუტაციის შექმნისა და მისი შენარჩუნების აუცილებლობას. თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ დასახელებული მიზნით გატარებული ყველა ღონისძიება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველის შეფასებით, განსაკუთრებით პრობლემურია „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების" ნორმა, რომლითაც ტელევიზიის თანამშრომლებს ჩამოერთვათ შესაძლებლობა, ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში აქტივობისას, გაავრცელონ

მაუწყებლის/მისი საქმიანობის უსაფრთხოებასთან, იმიჯთან, კორპორატიულ პოლიტიკასთან, საწარმოო და სამაუწყებლო პროცესთან, ასევე სამუშაო პროცედურებთან დაკავშირებული მასალა/ინფორმაცია (წესი 12).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება სამუშაო ადგილზე და ამდენად, დასაქმებული პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. ამავდროულად, მათ დამსაქმებლის მიმართ ლოიალურობის, თავშეკავებისა და კეთილგონიერების გამოჩენის ვალდებულება აკისრიათ.[29] ამდენად, წინამდებარე საქმის გადაწყვეტისთვის, არსებითია, გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს გათვალისწინებით, შეფასება მიეცეს საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებული პირების ლოიალურობის ფარგლებს.

დასაქმებულისთვის შესაძლოა, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ცნობილი გახდეს ორგანიზაციასთან დაკავშირებული ისეთი შიდა ინფორმაცია, რომლის გახმაურება ან გასაჯაროება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მხრიდან სამსახურში არსებული უკანონო ქმედებების შესახებ საუბარი, გარკვეულ შემთხვევებში, დაცულობით სარგებლობს. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, როდესაც დასაქმებული ერთადერთი ადამიანია, ან პირთა იმ მცირე ჯგუფს წარმოადგენს, რომლებიც ინფორმირებულნი არიან, თუ რა ხდება სამუშაო ადგილას და ამიტომ, შეუძლია, იმოქმედოს საჯარო ინტერესების ფარგლებში და მოახდინოს დამსაქმებლის ან საზოგადოების ინფორმირება.[30]

როდესაც პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც პროფესიული კონფიდენციალურობით იზღუდება, ბალანსდება დამსაქმებლის მიერ მენეჯერული უფლებამოსილების განხორციელების საპირწონედ, უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის პროპორციულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები:[31]

1. *არსებობს თუ არა გავრცელებული ინფორმაციის მიმართ საჯარო ინტერესი.* იმგვარ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებს, გამოხატვის თავისუფლებით დაცულობის ხარისხი მაღალი, ხოლო სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვიწროა.[32]

2. *არის თუ არა გავრცელებული ინფორმაცია უტყუარი.* სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ სათანადო ღონისძიებები ცილისმწამებლური ბრალდებების წინააღმდეგ, რომელიც მოკლებულია საფუძველს ან ფორმულირებულია არაკეთილსინდისიერად;

---

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 70.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 72.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 73-78.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary* პარ. 159.

3. *რა სახის ზიანი განიცადა ორგანიზაციამ სადავო ინფორმაციის გავრცელებით.* კერძოდ, უნდა შეფასდეს, გადაწონის თუ არა მიყენებული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ საჯარო ინტერესს, რაც სავადო ინფორმაციის გავრცელების მიმართ არსებობდა;

4. *რა მოტივი ამოძრავებდა დასაქმებულს ინფორმაციის გამჟღავნებისას.* მაგალითად, პერსონალური შუღლით ან რაიმე სახის სარგებლის მიღების მოლოდინით მოტივირებული ქმედება ვერ გაამართლებს დაცულობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს. მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ გამჟღავნებისას, ინდივიდი მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რწმენით, რომ ინფორმაცია იყო სწორი, არსებობდა მის მიმართ საჯარო ინტერესი და დანაშაულებრივი ქმედების გამოსწორების სხვა, უფრო ფრთხილი საშუალება მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

5. *პირველ რიგში, განხორციელდა თუ არა სადავო ინფორმაციის მიწოდება უფროსისთვის ან კომპეტენტური ორგანოსთვის.* მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული აშკარად არაპრაქტიკულია, ინფორმაცია შესაძლოა გასაჯაროვდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება;

6. *რა სიმძიმის სანქცია იქნა გამოყენებული პირის წინააღმდეგ.*

რელევანტურ ფაქტობრივ გარემოებებთან ზემოაღნიშნული პრინციპების მისადაგების თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, სახალხო დამცველი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე ***Matúz v. Hungary***. აღნიშნული საქმე შეეხებოდა სახელმწიფო ტელეკომპანიაში დასაქმებული ჟურნალისტის გათავისუფლებას, რომელიც ამავდროულად მაუწყებლის პროფესიული კავშირის თავმჯდომარის პოზიციას იკავებდა. მომჩივანმა არაერთხელ საჯაროდ გაავრცელა ინფორმაცია მაუწყებელში არსებული ცენზურის შესახებ. საბოლოოდ, მან გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც ასახული იყო ტელეკომპანიაში არსებული ცენზურის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები, რაც საფუძვლად დაედო მის გათავისუფლებას, რამდენადაც აღნიშნული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევად იქნა შეფასებული. მითითებული ვალდებულების თანახმად, მას ეკრძალებოდა სამსახურებრივ პოზიციასთან დაკავშირებით მიღებული ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რაც საზიანო იქნებოდა მისი დამსაქმებელის ან სხვა პირისთვის.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ზემოხსენებული წიგნის მიმართ, იმის მიუხედავად, რომ შეიცავდა მესამე პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი.[33] ამასთან, სასამართლოს მითითებით, როლი, რომელსაც საზოგადოებაში ჟურნალისტები თამაშობენ და მათზე დაკისრებული ვალდებულება, ხელი შეუწყონ საჯარო დებატებს, გამორიცხავს მათ სტანდარტულ ბოჭვას კონფიდენციალურობისა და კეთილგონიერების ვალდებულებებით, რამდენადაც მათი ფუნქციის ბუნება ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაა.[34]

---

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary,* პარ. 37.

[34] იქვე, პარ. 39.

აღსანიშნავია, რომ საქმეში არ იკვეთებოდა წიგნში მოცემული ინფორმაციის უტყუარობისა და მომჩივანის კეთილსინდისიერი ზრახვების გამომრიცხავი გარემოებები.[35] ამასთან, მასში მოყვანილი იყო ჟურნალისტის შეფასებებიც, რომელთა სისწორე დასაბუთებას არ ექვემდებარება.[36] რაც შეეხება მაუწყებლისთვის მიყენებულ ზიანს, სადავო საკითხს წარმოადგენდა სატელევიზიო კომპანიის რეპუტაციის პოტენციური დაზიანება. ამის თაობაზე, სასამართლომ განმარტა, რომ წიგნის გამოცემამდე, მაუწყებელში არსებული შესაძლო ცენზურის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი იყო.[37] ამასთან, ჟურნალისტის მიერ კონკრეტული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გასაჯაროება მოხდა მას შემდეგ, რაც მაუწყებლის შიგნით მისი საჩივრები უპასუხოდ დარჩა.[38]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტის მიმართ გამოყენებულ იქნა საკმაოდ მძიმე სანქცია და გააკრიტიკა ეროვნული სასამართლოების მიდგომა, რომლებმაც არ გაითვალისწინეს მომჩივანის არგუმენტაცია გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით და მსჯელობა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის ანალიზით შემოფარგლეს. მათ არ შეუფასებიათ, მოახდენდა თუ არა ჟურნალისტის გათავისუფლება გავლენას მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებ ფარგლებზე.[39]

ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და სახეზე იყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

აგრეთვე, ზემოხსენებული პრინციპების გამოყენებით, უფლების დარღვევა დადგინდა საქმეზე ***Wojtas-Kaleta v. Poland***. აღნიშნულ საქმეში მომჩივანი იყო საზოგადოებრივი სატელევიზიო კომპანიის ჟურნალისტი და პოლონური საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტთა გაერთიანების პრეზიდენტი. მას შემდეგ, რაც მან საჯაროდ გააკრიტიკა კომპანია პროგრამულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, გამოეცხადა საყვედური დამსაქმებლის რეპუტაციის დაცვის ვალდებულების დარღვევისთვის.

ნიშანდობლივია, რომ განსახილველ საქმეში, დარღვევა დადგინდა იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ისეთი მძიმე სანქცია, როგორიცაა გათავისუფლება. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ გაითვალისწინა საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საკითხების მიმართ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, მომჩივანის პროფესიული მოვალეობები და დამსაქმებლის მიმართ არსებული ვალდებულებები, ასევე, დააბალანსა საქმესთან კავშირში მყოფი სხვადასხვა ინტერესი და დაადგინა, რომ უფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

4. დასკვნა

გამომდინარე იქიდან, რომ „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“ ზღუდავს ადამიანის ერთ-

[35] იქვე, პარ. 41 და პარ. 46.
[36] იქვე, პარ. 41.
[37] იქვე, პარ. 42-43.
[38] იქვე,. პარ. 47.
[39] იქვე, პარ. 49.

ერთი ფუნდამენტური უფლებას - გამოხატვის თავისუფლებას, ჩარევის მართლზომიერების შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია, სრულყოფილად განიმარტოს როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში ასახული გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტები. ამ კუთხით, არსებითია, სამართალშეფარდება განხორციელდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი ზემოხსენებული პრინციპების დაცვით.

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით.

პატივისცემით,